

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

03/11/2021

წერილის ნომერი : CGW-L-CLK-GEN-241

ქალბატონო ნინო,

კასპის და გორის მუნიციპალიტეტებში, შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ის 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის („ნიგოზა“), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენს 2021 წლის 4 ოქტომბრის N10373/01 წერილში მოცემულ დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

გზშ-ს ფარგლებში ჩატარებული ბიოლოგიური გარემოს სავლე კვლევების დამთავრების შემდეგ 2021 წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული იქნა ფასკუნჯის საბინადრო ჰაბიტატების და არსებული ბუდეების მონიტორინგის სამუშაოები, კერძოდ: მაისი-სექტემბრის პერიოდში ჩატარებული იქნა 4 სავლე კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფასკუნჯის ბუდეებზე დაკვირვება და ე.წ „მეოთხე ბუდის“ (არამოქმედი/დაუდასტურებელი) არსებობის დადგენა. აღნიშნული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ე.წ. „მეოთხე ბუდე“ (რომელიც დაშორებულია 2.8 კმ-ით უახლოეს ტურბინიდან, არ არის მოქმედი, აღნიშნულ ადგილას არ ფიქსირდება ფასკუნჯის ბუდობის არავითარი ნიშანი (მაგ: ტიპური ექსკრემენტი, ბუშული, ტოტები, საკვების ნარჩენები და ა.შ.), განსხვავებით მოქმედი ბუდეებისგან. ამასთანავე, ვინაიდან ბუდე მიტოვებულია, ძნელია დასაბუთდეს, რომელი სახეობის ფრინველმა შეიძლება გამოიყენოს ბუდისათვის ეს ადგილი. გარდა აღნიშნულისა ზემოაღნიშნული ბუდე ვიზუალურად ძალიან განსხვავდება ფასკუნჯის სხვა, ნანახი ბუდეებისგან. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების პერიოდში, აღნიშნული ბუდის სიახლოვეს არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებული ფასკუნჯის ინდივიდები.

კვლევაში მონაწილე ექსპერტების (ალექსანდრე აბულაძე, ნიკოლოზ დვალი, ლია გოგალაძე) დასკვნით აღნიშნული ბუდე არ წარმოადგენს ფასკუნჯის ბუდეს. ეს ადგილი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პოტენციურ საბუდარ ადგილად, რომლის მსგავსი ადგილები სამხრეთ ფერდობის აღნიშნულ მონაკვეთზე მრავლადაა წარმოდგენილი, მაგრამ ქეს-ის ტურბინების განთავსების ტერიტორიიდან დაცილების მანძილების გამოყენების შემთხვევაშიც კი ფასკუნჯზე ზემოქმედების რისკები არ იქნება მაღალი.

წერილს თან ერთვის:

- ნიგოზას ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ალტერნატიული ვარიანტების კორექტირებული ვერსია;



- კვერნავის ქედის სამხრეთ ფერდობზე არსებული ფასკუნჯისათვის ხელსაყრელი ჰაბიტატების, მოქმედი ბუდეების და ე.წ. მე-4 ბუდის მონიტორინგის შედეგები;
- ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაცია „საბუკო“-ს მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით;
- ზემოთ მოცემული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები და ალტერნატიული ვარიანტების გეოგრაფიული კოორდინატები GIS ფორმატში



პატივისცემით,  
მურათ ოზუანი  
პროექტის მენეჯერი